06.06.18

თავმჯდომარე. კოლეგებო, ვიწყებთ კენჭისყრას. გთხოვთ, დაიკავოთ ადგილები. გთხოვთ, თანხმობას კენჭისყრაზე, ვინ არის მომხრე, გმადლობთ. გთხოვთ, გავიაროთ რეგისტრაცია ვიდრე დაიწყება კენჭისყრის პროცედურა. გთხოვთ, ჩართოთ რეგისტრაციის რეჟიმი. რეგისტრაცია გაიარა 97-მა დეპუტატმა. შეგვიძლია დავიწყოთ კენჭისყრა.

ვიწყებთ დროებითი საგამოძიებო კომისიის საკითხით, ეს არის პირველი საკითხი, „საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი დროებით საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე“. ვიდრე დადგენილების პროექტს კენჭს ვუყრით, ჯერ კენჭი უნდა ვუყაროთ თავმჯდომარის არჩევის საკითხს. წარმოდგენილია ორი კანდიდატი. კანდიდატებს კენჭი ეყრება წარდგენის რიგითობის მიხედვით, შესაბამისი თანმიმდევრობით. წარმოდგენილია ორი კანდიდატურა: ბატონი სერგი კაპანაძე და ქალბატონი ადა მარშანია. რაც შეეხება კენჭისყრის პროცედურას, თქვენ შეგიძლიათ მწვანე ღილაკზე თითის მიჭერით მხარი დაუჭიროთ ბატონ სერგი კაპანაძეს, წითელ ღილაკზე თითის მიჭერით ქალბატონ ადა მარშანიას. ერთდროულად, ერთიანი კენჭისყრით ტარდება ეს პროცედურა. გთხოვთ, მოემზადოთ კენჭისყრისათვის. კიდევ ერთხელ, კიდევ ერთხელ, მწვანე ღილაკი სერგი კაპანაძე, წითელი ღილაკი ადა მარშანია. გთხოვთ, ჩართოთ კენჭისყრის რეჟიმი. გადაწყვეტილება მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ანუ 76 ხმა არის საჭირო. გთხოვთ, ყურადღებას.

მომხრე-91 წინააღმდეგი-1

ბატონმა სერგი კაპანაძემ 91 ხმა, ქალბატონმა ადა მარშანიამ ერთი ხმა. ბატონი სერგი კაპანაძე არჩეულია დროებით საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარედ. ახლა კი გადავდივართ დადგენილების პროექტის კენჭისყრაზე.

კიდევ ერთხელ „საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტის

შემსწავლელი დროებით საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე“. წარმოდგენილია 17 დეპუტატისგან შემდგარი სია, რომელსაც ეყრება კენჭი. გთხოვთ ჩართოთ კენჭისყრის რეჟიმი.

მომხრე- 95, წინააღმდეგი-0

დადგენილების პროექტი მიღებულია. ამგვარად, შექმნილია დროებით საგამოძიებო კომისია და დამტკიცებულია მისი შემადგელობა.